ცნობის ფურცელი

№ 2421 ხუთშაბათი, 26 თებერვალი **1896—1904** ყოველ-დღიური გამოცემა **№ 2421**

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი კანცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში კანჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

ქართული თეატრი.
ტელ. № 617.

ხუთშაბათს, 26 თებერ., 1904 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

ხათაბალა

კომედ. 4 მოქმ. და 6 სურათად გ. სუნდუკიანცისა.

ერთი მესამედი შემოსავლისა გადადებულია იმ ნივთების შესაძენად, რომელთაც აგროვებს ტფილისის თავად-აზნაურთა კომიტეტი დაჭრილ-ღეომართა ქსენონებისათვის.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაკარელი, ა. კარგარეთლი, მ. მდივანი‘ ა. რონელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი. ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გ. ღედევანოვი, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი: ლოჟები 7 მ.-დან 12 მ.-დე, პარტერი 70 კ.-დან 4 მ.-დე, ამფითეატრი 20 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, გალერეია 25 კ.-დან 40 კ.-მდე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ამხანაგობის გამგე **ვალ. გუნია.**

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ხუთშაბათს, 26 თებერვალს წარმოდგენილი იქნება

ცარსკაია ნევესტა

ოპერა 4 მოქმ. მუს. რიმსკი-კორსაკოვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი დუბროვსკაია, სტეფანოვიჩ, მელნიკოვა, იანსი, ფედოროვა; ბ-ნი: ილიუშჩენკო, კამიონსკი, ფედოროვი, გავრილოვი.

ანონსი: 27 თებ.—რომეო და ჯულიეტა“.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ფასები დაკლებულია. კაპელმეისტერი ა. ასლანოვი. (0—15)

«ცნობის ფურცლის»
კანტორის განყოფილება
ქუთაისში

სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „**კოლხიდა**“-სთან (ბალახვანის ქუჩა, საკუთარი სადგომი) მიიღება ხელის-მოწერა გაზ. „ცნ. ფურც.“-სა და ჟურნალ „მოამბე“-ზე.

აქვე მიიღება საჩივრები ქუთაისის ხელის-მომწერთაგან ჟურნალისა ან გაზეთის მიუსვლელობაზე და სხვ.

ხელის-მოწერა მიიღება აგრეთვე ბ-ნ ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და „წიგნ. გამომც. ქუთ. ამხანაგობის“ კიოსკში.

ქუთაისის ხელის-მომწერთ, რომელნიც პირდაპირ რედაქციისაგან (ტფილისიდან) დაიკვეთენ გაზეთს, ვთხოვთ შეგვატყობინონ **სრული** თავისი ადრესი (ქუჩა, სახლის პატრონის გვარი ან სახლის №).

თელავში და ჭიათურაში
გაზ. „ცნობის ფურცელი“-ს

№№ იყიდება იმავე დღეს, რა დღესაც ტფილისს გამოდის. თელავში—ბ. ვ. პაატაშვილთან და პავლე კურდღელაშვილის მაღაზიაში (სამოქალაქო ბაღის პირდაპირ); ჭიათურაში—ბ. ერ. დეკანოზიშვილთან.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. —3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ძალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. შაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274**

რწმუნების ქაღალდს
(Довѣренность),

რომელიც მე მივეცი ქ. ოზურგეთის მცხოვრებს **თომა სიმონისძე ჩხატარაიშვილს**, დღეიდან ვაუქმებ.

(2—77—2) **ზაქარია ნაკაშიძე**

ქუთაისში
კბილის ექიმი
მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123.

(თვ.—0—28)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი № 46.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა.

(0—ნ.—59)

რუსეთ-იაპონიის ომი
დეპეშები
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 თებერვალი

პეტერბურგი. ნამესტნიკის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა, მუკდენიდან 24 თებერვალს გამოგზავნილი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელობაზე: „თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ ვლადივოსტოკში 22 თებერვალს მომხდარ ამბის დაწვრილებით ცნობებს: დილის 11 საათს მტრის ესკადრა კუნძულ ასკოლდს გამოსცილდა, რამდენჯერმე შეიცვალა დგომის წყსრიგი, ორი კრეისერი კუნძულის ჩრდილოეთით დასტოვა, დანარჩენი გემები კი უსურიის ყურეში შემოვიდნენ და ნაპირის გასწვრივ, ნაპირიდან 15 ვერსის მანძილზე ნავთსადგურისაკენ წამოვიდნენ. როცა ესკადრა წმ. იოსების მთისა და უსურიის ბატარეას გასწვრივ მოიხლოვდა, ესკადრა იმავე წყობით ამ ბატარეისაკენ წამოვიდა და ორივე გვერდიდან ზარბაზნების სროლა დაიწყო; ისროდნენ მხოლოდ წამლით, ზარბაზნების გასათბობად. 1 საათსა და 35 წუთზე ესკადრა ნაპირს 8 ვერსის მანძილზე მოუახლოვდა; მოწინავე გემმა წინა ზარბაზნებიდან სროლა დაიწყო; შემდეგ მთელი ესკადრა ნაპირას წამოვიდა და მარცხენა მხრიდან სროლა დაიწყო. 2 საათსა და 20 წუთზე ესკადრამ სროლა შესწყვიტა და სამხრეთისაკენ გაემართა. კუნძულ ასკოლდიდან 10 მილის მანძილზე მიდიოდა და 5 საათსა და 30 წუთზე მიიმალა. მტერმა სულ 150—200-ჯერ გაისროლა ზარბაზანი. ზარალი ძალიან მცირეა. ციხეში და ბატარეიებზე არაფერი დაზიანებულა. ქალაქსა და სხვა ნაწილებში ზარალი მცირეა. ჯარი კარგ გუნებაზეა. ბატარეიები საბრძოლველად საუცხოვოდ არის მომზადებული. შემატყობინეს, რომ 23 თებერვალს, დილის 8 საათზე, მტრის ესკადრა ხელმეორედ მოადგა ვლადივოსტოკს, უსურიის ყურეში შემოვიდა, ნაპირის გასწვრივ ჩაიარა და ისევ უკან, განოვას კონცხისკენ წავიდა. ზარბაზანი არ გაუსროლიათ. 3 საათსა და 40 წუთზე ესკადრა განოვის კონცხთან იყო, შემდეგ რეიდნალლადას წინ მობრუნდა და სამხრეთისაკენ წავიდა“.

შანჰაი („რეიტ. სააგ.“). რუსეთის ელჩმა პეკინში მიანდო რუსეთის აქაურს კონსულს, საკანონერო გემს „მანჯურ“-ს იარაღი აჰყაროს.

ტოკიო. 26 თებერვალს დაიწყებენ სეულიდან პიენიანამდე რკინის გზის შენებას. გზა ენკენისთვეს უნდა გათავდეს.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). იაპონიის ესკადრამ დაიჭირა ხაიიან-დაო, რომელიც ელიოტის კუნძულთა ჯგუფს ეკუთვნის.

ვაშინგტონი. ჩინეთმა დაამტკიცა მუკდენსა და ანდუნში დანიშნული ამერიკის კონსულები. რადგან ეს ქალაქები რუსებს უჭირავთ, იქ ეხლა არავითარი ვაჭრობა არა აქვთ ჩრდილოეთ ამერიკის შტატებთან და ამიტომ სახელმწიფო დეპარტამენტს საბუთი არა აქვს მოითხოვოს, რომ კონსულები ამ ქალაქებში უეჭველად წავიდნენ. ამერიკის კონსულები შანჰაის მივლენ და იქ მოიცდიან.

მოსკოვი. სასულიერო პირნი და სხვანი გენერალ ადიუტანტს კუროპატკინს ხატს უმზადებენ. ხატის დახატვა მიენდო ვასნეცოვს, მოჭედვა ოვჩინიკოვს.

ირკუტსკი. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც იმიერბაიკალისა და ბაიკალის გარშემო რკინისა და ჩვეულებრივ გზებზე სამხედრო წესები შემოიღეს. გენერალს სუხოტინს მიენდო სახელმწიფო წესისა და ამ გზების დაცვა.

ღამის დეპეშები
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 თებერვალი

შანჰაი. („ჰავ. სააგ.“) იაპონიის ჯარის მობილიზაცია წესიერად ხდება, თუმცა კი ისე სწრაფად არა, როგორც წინად ეგონათ. როცა მთელს ჯარს კორეიაში გადმოსხამენ, ოთხ ნაწილად გაჰყოფენ. არ იციან, რომელ ადგილებში შეჰკრებენ ამ რაზმებს.

რომი. რუსეთის მეზღვაურები, რომელნიც იტალიის კრეისერით „ელბა“-თი მოიყვანეს, გონკონში რუსეთის მოხელეებს ჩააბარეს.

ვენა. დეპუტატთა პალატაში კერებერმა სთქვა, ავსტრო-ჰუნგრეთსა და რუსეთს შორის სრული თანხმობა არსებობს როგორც საერთო მიზანში, ისე იმ ზომებში, რომლებსაც ორივე სახელმწიფო მიიღებსო.

ტოკიო. მიკადო აპირობს შეამციროს თავის სასახლის მოხელეთა რიცხვი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება.—იაპონიის მემკვიდრე პრინცი არისუგავა ამ დღეებში მებრძოლ ჯარის მთავარ სადგომში მიდის. მარკიზი იტო მიდის კორეიაში, სადაც კორეის იმპერატორს იაპონიის იმპერატორის საკუთარის ხელით დაწერილ წერილს გადასცემს; ამ მინდობილების მიზანი არავინ არ იცის. იტოს გაჰყვებიან ვიცე-პრეზიდენტი, ტაინი სოვეტნიკის მდივანი, გენერალ-მაიორი უსაგავა და კონტრ ადმირალი საკამოტო.—რუსეთის ვლადივოსტოკის ესკადრა ზღვაში იმყოფება; ამბობენ, ამ ესკადრასა და იაპონიის ფლოტს ბრძოლა მოუხდათო; ბრძოლის შედეგი ჯერ არ იციან.—რუსეთის მოწინავე ცხენოსანი რაზმები, რომელნიც უკანასკნელ დროს კასანის მახლობლად იყვნენ, ნელ-ნელა იალუსკენ იწევენ.—სეულიდან ი-ჯუმდე რკინის გზის შენება დაიწყეს.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

25 თებერვალი

პორტ-არტური. მოვიდა ადმირალი მაკაროვი, რომელსაც მიეგებნენ სამხედრო მოხელენი და ქალაქის გამგენი და ხატი მიართვეს. ადმირალმა დროშა აღფრიალა კრეისერს „ასკოლდ“-ზე ჯავშნიანი გემი „რეტვიზან“-ი შიგნითა რეიდში შემოვიდა და „ცესარევიჩ“-ს გვერდში ამოუყენეს. დაზიანებულ ადგილების შეკეთება სწრაფად სწარმოებს. იმედი აქვთ, რომ „რეტვიზან“-ს ოთხ საათში შეაკეთებენ.

ლონდონი. ბრძოლის ველიდან ცნობა არ მოსულა.

ჩიფუდან დეპეშით იუწყებიან, რომ ორშაბათს ნავთ-სადგურის პირდაპირ იდგა იაპონიის 15 გემი ოთხის ნაღმიანის გემით. ეს გემები ნიუ-ჩუანისაკენ მიდიოდნენ.

რუსები სიმაგრეებს აგებენ კაიპინლიაონის გაყოლებაზე.

ტოკიოდან იუწყებიან, რომ კვირას ვლადივოსტოკის ესკადრა დაეცა იაპონიის ფლოტსაო. შედეგი ამ ბრძოლისა არ იციან.

პეკინი. ვალვუევუს მოხელენი ხელახლა ამბობენ, რომ ჩინეთის მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტა, დაიცვას ნეიტრალიტეტიო.

პარიზი. როგორც გაზეთების ცნობებიდანა სჩანს, იაპონელები მანამდე არ დაიწყებენ თვალსაჩინო ბრძოლას, სანამ საკმაო ჯარს არ გადაიყვანენ კორეიაში. როგორც ეტყობა, იაპონიის მთავარ შტაბს უნდა მთელი თავისი მხედრობა ოთხ ნაწილად გაჰყოს კორეიასა და მანჯურიაში სამოქმედოდ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. რუსეთის ჯარის მთავარ-სარდალი გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი 28 თებერვალს წავა ბრძოლის ველზე. მთავარ-სარდალს თან გაჰყვება ალექსანდრეს იურიდიულ აკადემიის პროფესორი გენერალ-ლეიტენანტი კუზმინ-კარავაევი. გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა ერთის ცხენოსან აფიცრისაგან უნიშნო თეთრი ცხენი იყიდა 600 მანეთად. ბრძოლის ველზე ზედ საჯდომად ეს თეთრი ცხენი ეყოლება მთავარ-სარდალს. ცნობილი რუსის გენერალი სკობელევიც ბრძოლის დროს მუდამ თეთრს ცხენზე იჯდა („რ.“).

რუსის ფლოტის უფროსი ვიცე-ადმირალი მაკაროვი გაზეთების ვარაუდით ეხლა პორტ-არტურში უნდა იყოს. ხმა გავრცელდა, ვითომ მაკაროვი გზაში ავად გამხდარიყოს, მაგრამ 19 თებერვალს კრონშტადტში დეპეშა მიუღიათ, ეს ცნობა სწორე არაო („რ. ვ.“).

პორტ-არტურის კომენდანტის სტესელის ბრძანებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია,

თურმე, ულხოლთის პრესაში. პარიზელები ჰფიქრობენ, იქნება იაპონიის გვარდიის დივიზია ლაოდუნის ნახევარ კუნძულზე გადავიდა და პორტ-არტურს ხმელეთიდანაც ალყა შემოარტყაო. სტესელის ბრძანებაში, ალბად, ამიტომ სწერია, ხმელეთიდანაც მტერი დგასო („ბ. ვ.“).

ხარბინიდან ფრანგულ გაზ. „მატენ“-ს ატყობინებენ: აქედან უკანასკნელი მატარებელი მიდის პორტ-არტურსაო. ამის თაობაზე ფრანგული გაზ. „ტან“-ი შეჰნიშნავს:“ თუ ეს ცნობა მართალია, სჩანს, რომ იაპონელები კვანტუნის ნახევარ კუნძულზე გადასულან და პორტ-არტურისათვის ხმელეთიდანაც ალყა შემოურტყავთო. მართლაც და რა იქნა იაპონიის გვარდიის დივიზია (ოთხი პოლკი)? ეს დივიზია 2 კვირის წინ გამოვიდა იაპონიიდან, ჩემულპოს მოვიდა, მაგრამ ხმელეთზე კი არ გადასულა. იქნება იაპონიის ესკადრაც 12 თებერვალს პორტ-არტურიდან ამ ჯარის გასაცილებლად წავიდა და კვანტუნის ნახევარ კუნძულზე (პორტ-არტურს ახლო) გადაიყვანა სადმე? ნამდვილად ვერას ვიტყვით, მაგრამ შეიძლება, ეს მოსაზრება სწორეც იყვეს“.

ბევრს კი არა სჯერა ეს ცნობა: „ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო თანამშრომელი შეჰნიშნავს, ჯერ კვანტუნისა და ლაოდუნის ნახევარ-კუნძულების ნაპირები გაყინულია. სანამ ყინული არ გადნება, იაპონელები ჯარს არ გადაიყვანენ პორტ-არტურს ახლოო („ნ.“).

იაპონელებს გაუგიათ, პორტ-არტურში რუსებს საკვები სურსათი მარტო სამს თვეს ეყოფათო („პ. გ.“).

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ ჩიფუდან: პორტ-არტურში რუსებმა 20 ჩინელი დააპატიმრეს; ეს ჩინელები იაპონელებს ღამე სიგნალებს აძლევდნენ თურმე („ბ. ვ.“).

„დეილი მეილ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონელების სამხედრო ხერხმა მაინც გასჭრაო. მას აქეთ, რაც 11 თებერვალს ღამეს იაპონელებმა პორტ-არტურთან სავაჭრო გემები ჩასძირეს, რუსის გემები შიდა ნავთსადგურში შესვლას სრულ ორს საათს უნდებიან, წინად-კი ნახევარ საათში შედიოდნენო.

გერმანული გაზ. „შლეზვიგ. ცაიტუნგ“-ი ირწმუნება: პეტერბურგიდან შევიტყობინეს, რუსის დაზიანებული ჯავშნიანი გემი „რეტვიზანი“ ჯერ შეკეთებული არაა, დღემდე პორტ-არტურის ნავთ-სადგურის გასავალში უძრავად დგას და სხვა დიდ გემებს შიდა ნავთ-სადგურიდან ზღვაში გასვლას უშლისო. ამიტომ რუსის დიდი გემები („სევასტოპოლი“, „პობედა“ და სხვ.) ბრძოლაში მონაწილეობას ვერ იღებენო („რ. ვ.“).

ინგლისური გაზეთები მაინც ირწმუნებიან, იაპონელები 16 თებერვალს ნამდვილად დაეცნენ პორტ-არტურს და ზოგიერთი რუსის გემი დააზიანესო, „რეტვიზან“-საც ხელ-მეორედ შეუნგრიეს გვერდიო. რუსულ გაზეთებს ეს ცნობა უბრალო ჭორად მიაჩნიათ: გენერალ ფლუგის დეპეშაში ცხადად ეწერა, 16 თებერვალს პორტ-არტურთან არავითარი ბრძოლა არ ყოფილაო („ნ. ვ.“).

ერთს რუსს შემდეგი საინტერესო ცნობა უამბნია „ნოვოე ვრემია“-ს თანამშრომლისათვის:

„პორტ-არტურიდან 26 იანვარს საღამოს გამოველ. წინა დღისით პორტ-არტურის ნავთ-სადგურში ასეთი ამბავი ვნახე. ვეება სავაჭრო გემი იაპონიის ბაირაღ ქვეშ გაქანებული მოდიოდა ნავთ-სადგურისაკენ. როცა ნავთ-სადგურის ვიწრო გასავალში შემოვიდა, გემი უცებ მიბრუნდა, შესავალში სიგძეზე დადგა და დროშა გაშალა.—„დაზიანებული ვარ, ვიძირებიო“. —მართლაც და იძირებოდა. საბედნიეროდ, მაირიგმა გემებმა ხელად შენიშნეს, სავაჭრო გემს მისცვივდნენ და ბუქსირით ნავთ-სადგურის შესავლიდან „ტიგროვი ბუხტისაკენ“ წაიყვანეს. პატარა ხნის შემდეგ ეს გემი მართლაც ჩაიძირა, მაგრამ ნავთ-სადგურის შესავალი კი ვეღარ შეკრა. ეს გემი, როგორც იმისმა მეზღვაურებმა სთქვეს, რკინით ყოფილა დატვირთული. „გზაში დაგვიზიანდა, ხელდახელ შევაკეთეთ, მაგრამ პორტ-არტურთან დაზიანებულ ადგილიდან ისევ წყალი შემოვიდა გემში და რომ არ გეშველათ, იქვე გასავალში ჩაიძირებოდაო,“—ასე ილაპარაკეს იაპონელმა მეზღვაურებმა. მაშინ მაგდენად დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია ამ ამბისათვის, მაგრამ მერე კი, როცა 26 ღამეს იაპონიის ესკადრა პორტ-არტურს დაეცა, უცებ ეს ამბავი გამახსენდა. ის სავაჭრო გემი რომ ნავთ-სადგურის გასავალში ჩაძირულიყო, იაპონელები გაცილებით უფრო მეტს ზიანს მისცემდნენ ჩვენს ფლოტს.“

„დეილი ექსპრეს“-ი სწერს: სანამ იაპონელები სამ კორპუსს ჯარს არ გადაიყვანენ ხმელეთზე, ერთს პორტ-არტურისაკენ არ გაჰგზავნიან, მეორეს—ვლადივოსტოკისაკენ და მესამეს—იალუზე, მანამ ხმელეთზე დიდი ბრძოლა და დიდი შეტაკება არ მოხდებაო („რ. ვ.“).

პოსიეტის ნავთ-სადგურში, როგორც ვიცით, იაპონელებმა ჯარი გადაიყვანეს. „ბერლინერ ტაგებლ“-ის სამხედრო თანამშრომელი ამის თაობაზე სწერს: თუ ეს ცნობა მართალია, ეტყობა, იაპონელებს ვლადივოსტოკიდან პორტ-არტურში მიმავალ გზის შეკვრა სწადიანთო. პოსიეტის ნავთ-სადგური კორეისა, მანჯურიისა და აღმოსავლეთ-ციმბირის საზღვარზე დევს. შემოდგომობით აქ ურიცხვი გემი მიდის საქონლის წასაღებად. ამ ჟამად ეს ნავთ-სადგური გაყინულია. გარშემო დიდი ტყეებია, სადაც მრავალი ნადირი ბუდობს („ბ. ვ.“).

სახალინელ მეთევზეს, ბ. კრამარენკოს უთქვამს „პეტერბ. ვედომ.“-ის თანამშრომლისათვის: ჩემის აზრით, 3-4 კვირის შემდეგ იაპონელები კუნძულ სახალინის სამხრეთ-ნაწილის დაჭერას ეცდებიანო. სახალინის ნაპირებზე დიდ-ძალ თევზს იჭერენ, ამიტომ იაპონელები უსათუოდ ეცდებიან იმის აღებას, თორემ უამკუნძულოდ იაპონიის ხალხი საჭმელ თევზსა და მამულებისათვის სასუქს ვეღარ იშოვისო. (იაპონიაში მამულებს, სხვათა შორის, თევზითაც აპატივებენ). კრამარენკოს აზრით, იაპონელებს სახალინის დაჭერა არ გაუძნელდებათ, რადგან ეს კუნძული სრულობით არაა გამაგრებულიო.

„დეილი ექსპრეს“-ი იუწყება: რუსეთის კონსულმა შანჰაიში შეატყობინა ჩინელ მოხელეებს, პეტერბურგის მთავრობა დასთანხმდა, რომ რუსის კანონირმა გემმა „მანჯურმა“ იარაღი აიყაროსო. გემი ომის გათავებამდე შანჰაიში დარჩება. ჯერ არ იციან, სად შეინახვენ გემის იარაღს. იაპონელები უშლიან ჩინელებს, ამ იარაღის შენახვა არ იკისროთო.

სუეციდან დეპეშით ატყობინებენ „ბერლინერ ტაგებლატ“-ს, ვითომ რუსის კრეისერი „ავრორა“ სუეცის არხში გარიყულიყოს, გემი „დიმიტრი დონსკოი“-ც დაზიანებულიყოს და ეთხოვოს, ნება მომეცით სუეცში ორის კვირით დავრჩე შესაკეთებლადაო.

პორტ-საიტიდან ამბავი მოვიდა, 5 რუსის ნაღმიანი გემი აქედან ალჟირს მიდისო („ნ. ვ.“).

„დეილი ნიუს“-ის სამხედრო თანამშრომელი ნორმანი სწერს: რუსეთმა რომ ბალტიის ზღვის ფლოტი ჩრდილოეთ ოკეანეზე გაგზავნოს და ბერინგის სრუტეზე გაატაროს, სუეცის არხის მაგივრადაო, ძლიერ უჩჩევნიაო. ეს გზა 5401 მილით მოკლეა სამხრეთ გზაზეო. ამ გზით რომ წავიდეს, რუსის ესკადრა ვლადივოსტოკს 44 დღეს მივა, ესე იგი 28 დღით უფრო მა-
ლე, ვიდრე სუეციდან და რაკი შვეც
ნორვეგიის ნაპირებს გასცდება, მერე სუ
რუსეთის ზღვით ივლისო („ნ. ვ.“).

გაზ. „რუს“-ს ატყობინებენ ლონდონ
დან: ხუნხუზები და ჩინელ ჯარის-კაცებ
ნამყოფები იაპონელების წინამძღოლობი
რაზმებს აღგენენ და რუსების წინააღმდ
მოქმედებენ. ერთმა რაზმმა—500 კაცმა
მანლიხერის თოფებით შეიარაღებულმა, რ
სის მზვერავთა რაზმზე იერიში მიიტანა.

„ტაიმს“-ი და სხვა ინგლისური გაზეთ
იუწყებიან: ჩინელები აღმოსავლეთ-ჩინეთ
რკინის გზის სადგურ ხაიჩენს ახლოც (ინკო
ახლო) მოქმედებენ რუსების წინააღმდეგო

რუსები ხაიჩენსა და იმის მიდამოებს ამ
გრებენ. ყოველდღე რამდენსამე ათას ჩინე
მუშას ამუშავებენ. ლიაონიც კარგად გაამ
გრეს. რუსები მუკდენის სამხრეთითაც ბეჯი
თად მოქმედებენ და სხვა და სხვა ადგილებ
ამაგრებენ.

ციციკარში (მანჯურიაში) რუსის მანეთ
კურსი დაეცა, ამერიკულ დოლარისამ
აიწია: იანვრის დამდეგს დოლარი—73
პეიკად გადიოდა, ეხლა კი 1 მ. 5 კ. გა
დის („მ. ვ.“).

ცნობილმა იტალიელმა პროფესორმა
საფინანსო უფლების მცოდნემ ნიტიმ გაზ
„პუნგოლო“-ში რუსეთ-იაპონიის ომზე წ
რილი დაბეჭდა. ნიტი სწერს: რუსეთი ყო
ველ დღე ომზე ხუთ მილიონ მანეთს ჰხარ
ჯავს, იაპონია კი მარტო ერთ მილიონსაო.
ეს იმით აიხსნება, რომ იაპონია უფრო
ლოა ბრძოლის ველზე, ვიდრე რუსეთიო („ნ.“)

ინგლისი და რუსეთი. რუსეთის ელ
გრაფ ბენკენდორფი ლონდონს დაბრუნ
და მაშინვე ინგლისის გარეშე საქმეთა მინის
ტრთან ლორდ ლანსდოუნთან წავიდა სათა
თბიროდ. გაზეთები იუწყებიან, რუსეთის
ელჩს მალე ინგლისის მეფე მიიღებს აუდიენ
ციაზეო („ბ. ვ.“).

ინდოელების აზრი რუსეთ-იაპონიის ომზე. ინდოელმა ბარაკაუულამ, სარწმუნო
ბით მუსულმანმა, ინგლისურ ენაზე წიგნ
გამოსცა. ავტორი ამტკიცებს, ევროპიელებ
და რუსები აზიის დამონავებას ცდილობენო
ყვითელი საფრთხე კი არა, თეთრი საფრთხე
საშიში ქვეყნიერობისათვისაო. იაპონია მ
კარგად მოიქცა, რომ რუსეთს წინ გადა
და პასუხი გასცაო. ყველა აზიელი ერ
პონიას უნდა თანაუგრძნობდეს და აზიის გან
თავისუფლებას ცდილობდესო. ამ წიგნიდა
სჩანს, რომ ინდოელი მუსულმანებიც იაპო
ნიას თანაუგრძნობენ („ნ. ვ.“).

* * *

ფელეტონი

წერილები უცხოეთიდან

ქ. ნიცა და იმისი მშვენიერება.—ნიცელთა უშნო ცხოვრება.—საბრალო მდიდრები. — შრომის ოაზისი უსაქმების უდაბნოში.

ქ. ნიცა, სადაც მე ამ ჟამად ვცხოვრობ, მდებარეობს საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში, ხმელთა შუა ზღვის პირად. ჩრდილოეთით ამ ქალაქსა და მთელ ამ მიდამოს ჰფარავს ალპების მთაგრეხილის შტო—ეგრედ წოდებულ ზღვის ალპები, რომლის მწვერვალნი, თოვლით თავდახურულნი, ერთგულ დარაჯებად უდგანან ლამაზ, თვალ-წარმტაც ქვეყანას, და ჩრდილოეთის გრილ ნიავს არ აკარებენ იმის ბუნება-ნაზს მუდამ მღიმარე სახეს. მთელი ეს ზღვის პირი კოპწია, მხიბლავი ქვეყანაა, მუდამ სადღესასწაულოდ გამოწყობილი, ზამთარ-ზაფხულ ამწვანებულ-აფერადებულ ბაღნარით მოსილ პატარძლივით ამოჰფარებია ბუმბერაზ მთების კალთას და ელქუც ეკეკლუცება ხმელთა შუა ზღვის ზურმუხტის ტალღებს.

ჩვენის ქვეყნის შვილსაც, რომელიც ჩვეულია ბუნების სიუხვეს,—სასწაულ-მომქმედ ბუნების კალთაშია აღზრდილი,—ქართველ კაცსაც ეოცება ამ მიდამოს სიტურფე, რადგან აქ ჰხედავს იმას, რაც ჩვენ სამშობლოს ზღვის პირს აკლია—მუდამ მშუქარე მზეს, რომელიც დილიდან საღამომდის თავის შარავანდედით ჰმოსავს ამ ქვეყანას. ჩვენი შავი ზღვის პირი ფოთიდან დაწყებული ბათუმამდე, გურია-სამეგრელოს კიდეები, ბუნების სიუხვით ამ ქვეყანას არ ჩამოუვარდება, მაგრამ წვიმა და სინესტე მისი ჩვეულებრივი დამღუპველი სენია. ამიტომ ჩვენი ქვეყანა ტურფად მოსილსა, მაგრამ საქმროდაკარგულსა და მტირალ, მგლოვიარე პატარძალსა ჰგავს, ეს მხარე-კი—მუდამ მხიარული, მუდამ ცქრიალა, მუდამ ლაღი, თითქო განუშორებლად საქმროს გულში ჩახუტებული პატარძალია. მშრალი, წმინდა, ბრჭყვიალა მზის შუქით ნაქარგი ჰაერი, ზეთისხილის ტყით მოსილი გორაკები, უზარმაზარი აფრიკიდან გადმოხვეწილი პალმები ზღვას კიდეზე, ხეივნებად დარაზმულნი მწვანე გორაკების ფერდობზე მხატვრულად გაფანტული საავარაკო პაწია სასახლეები, ტურფა „ვილლები“, შუა ზამთარში ყვავილოვანი ბაღები, მუდამ მზის შუქით მოსილი ბუნება—ყველა ეს ედემად ხდის ამ ქვეყანას; მიწიერ წალკოტად, სამოთხედ, რომელსაც მხოლოდ მდინარე ტიგროსი და ეფრატი აკლიათ, (მათი ადგილი დაიჭირა მდინარე პეილონმა და ვარმა, რომელნიც აღმოსავლეთ დასავლეთით საზღვრავენ ნიცას) და არ აკლია ყველა ქვეყნებიდან თავ-მოყრილნი ტურფა ადამნი და ევანი; მაგრამ ვაგლახ ჩვენ! რამდენად მდიდარია ნიცა ბუნებით, იმდენად ღარიბია შინაგანი ცხოვრებით, რამდენად ლამაზია სხეულით, იმდენად უშნოა სულით. ნიცა წარმოადგენს მდიდარი ხალხის აფუსფუსებულ საზამთრო ბუდეს. შეძლებულნი ქალ-ვაჟნი, მთელი ქვეყნის არისტოკრატია, მსოფლიოს ნაღები აქ არის თავმოყრილი და, რასაკვირველია, სანამ ისინი აქ დროს ატარებენ, დანარჩენი ქვეყნიერება, ბურთი დედამიწისა წარმოადგენს ნაღებ-აღებულს უბრალო რძით სავსე ქვაბსა და სხვას არაფერს. ქვეყნის არისტოკრატია ამ არისტოკრატიულ ბუნებას შეეფარა, და მასავით მუდამ ცელქობს და დღესასწაულობს. ფერი ფერს—მადლი ღმერთს.

ნიცის მდიდარმა მესაკუთრეებმა შური იძიეს თავიანთ პეპერა-პეპერინა, ადამ და ევაზე, მათი დანაკლისი თავად შეიმატეს. იმ დროსა და ჟამს, რომელიც ადამ და ევამ ტიტვლად განვლეს, აქაური არისტოკრატია ფრიად მორთული ატარებს. დღევანდელ ნიცელ სამოთხის ევათ ნაირ-ნაირი ხავერდ-აბრეშუმეულობა ჰმოსავთ, ერთმანეთზე გადაცმული და აჭრელებულ-აფერადებული. ძველი სამოთხის მფლობელი ადამი მორცხვი და ტიტველა ვაჟკაცი იყო, აქაური სამოთხის მფლობელნი ადამნი კი, ფრიად ურცხვნი და კოხტად მორთულნი ვაჟკაცნი არიან, კვალში უდგანან ისინი აქაურ მშვენიერ ევათ, მათთან ერთად უსაქმო ნეტარების ზღვაში სცურავენ დილიდან საღამომდის.

Nice—c'est une ville de plaisir!—მითხრა ერთმა აქაურმა ნაცნობმა. ნიცა დროს გასატარებელი სიამოვნების ქალაქიაო. მართლაც აქ თავს იყრის მხოლოდ ის ხალხი, რომლის ცხოვრება—მუდმივი დროს გატარება, მუდმივი გართობა, მუდმივი თავის დავიწყებაა. უცხოელი სტუმარი ტურფა ბუნების მეტს აქ ვერაფერს ნახავს გრძნობა-გონების საზრდოს და ცარიელი ბუნებით ხომ ვერ ისაზრდოებს ადამიანი. ბუნება მხოლოდ ჩარჩოა, მხოლოდ იმით დაფასდება, თუ რამდენად გონიერ-გრძნობიერია შიგ მოთავსებული ცოცხალი სულდგმული, ეგრედ წოდებული ბუნების გვირგვინი ადამიანი, რომლის გონიერება, ჭკუა და გრძნობა თვის ელფერს უზიარებს ბუნებას, ჰმატებს ამ ბუნებას ღირსებას. აქ ჩამოსული უცხოელი ვერ გაიგებს, ვერ შეიტყობს, თუ რით ცოცხლობს, როგორ შრომობს და რას მიელტვის საფრანგეთის ხალხი. მხოლოდ იმას შეიტყობს და ნახავს, თუ როგორ უსიცოცხლოდ, როგორ უსაქმოდ, როგორ უმიზნო-უშინაარსოდ მუდამჟამ უქმობს საფრანგეთის შეძლებული ხალხი, ბურჟუა-არისტოკრატები.

პირველად რომ ჩამოვედი აქა, რასაკვირველია, მაშინათვე რამდენიმე აქაური გაზეთი ვიყიდე. გაზეთი ხომ ცხოვრების სარკეა და მე
მინდოდა ჩამეხედნა აქაურ ცხოვრების სარკე
ში, გამეცნო მისი შინაარსი, მისი შნო და ღირ
სება. ყველა აქაურ გაზეთის პირველი გვერ
დი სამწუხარო სურათს წარმოადგენს: რო
გადიკითხოთ, მწარე სევდა ჰკალივით გაგ
ჯდებათ საკუთარ თქვენ გვერდებში. ეს პირვე
ლი გვერდი წარმოადგენს ახალ-ჩამობძანებულ
სახელოვან გვამთა, ყველა ქვეყნიდან მოსუ
შეძლებულ ქალ-ვაჟთა სიას, ბრწყინვალ
ნუსხას. არისტოკრატიას ამ ნუსხაში, რა
კვირველია, პირველი ადგილი უჭირავს. თქ
ტყობილობთ სანეტარო გულის ფანცქალი
თუ როგორ მშვიდობით ჩამობძანდა ნიცა
ესა და ეს ვიკონტი, ესა და ეს მარკიზა
რომელი სასტუმრო გაიბედნიერეს თავი
ფშვიადი პიროვნების ჩამოხტომით. არისტო
კრატიას მისდევს ახალ ჩამოსულ მამაც
შემაერთებელ მხედარ აფიცერთა გვარები
ამათ კი უსახელო, მაგრამ მაინც ყოვე
მხრით სიკეთე-მოუთხრობელ, რგვალ
შეძლებულ ბურჟუათა სახელები. გაზეთ
მთელი პირველი გვერდი რომ გადიკითხოთ,
ვერსად ვერ ამოიკითხავთ, რომ ნიცაში ჩა
მობრძანდა და ამა და ამ ნესტიან ბუნაგში
დაბინავდა ესა და ეს პატივცემული უბრა
ლო მუშა, კალატოზი ან ქვის მთლელი,
რომლის დაუღალავი შრომით ამართულია
ყველა ეს ტურფა სასახლეები. მუშამ თავი
შრომა, თავისი მოვალეობა აასრულა
ახლა შეუძლია კვალწმინდად ჩაბარ
ტრონს, ქალაქის სიტურფეს ამით არ
დააკლდება, პირიქით, შეემატება კიდე
რა უნდა ბინძურ ღარიბ კაცს, უბრალო
დღიურ მუშას ამ ბრწყინვალე საზოგად
ებაში, რა მისი ტოლ-ამხანაგი არიან? მშვე
ნიერება —მშვენიერებისათვის და მშვენ
თათვისაა გაჩენილი. განა ეს არ არის დღე
ვანდელ შეძლებულთა სჯული და მრწამსი

რუსეთის პრესის აზრი ომის შესახებ

„მოსკოვ. ვედომ.“-ი უკანასკნელ (51) №-ში კვლავ უბრუნდება დღევანდელ ომის მნიშვნელობასა და გარემოებათ. წინად, როგორც მკითხველსაც ეხსომება, გაზეთმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ რუსეთს ევროპაში, სლავიანთა გარდა, თანამგრძნობელი არავინა ჰყავს. ეხლა გაზეთი ამ საგანზე სჯას აგრძელებს და ამბობს:

გავიხსენოთ ისტორია... 1853-54 წლებში ჩვენ ომი გვქონდა ოსმალეთთან; სხვა სახელმწიფოებმა-კი, როგორც ეხლა, ომის დაწყებისთანავე გამოაცხადეს—სრულს ნეიტრალიტეტს დავიცავთო, ესე იგი, ომში არ გავერევითო. მაგრამ ყველას ახსოვს, როგორ დაიცვა ევროპამ ნეიტრალიტეტი: როგორც-კი შეატყეს, რომ ოსმალეთი მარცხდება და ჩვენ ვიმარჯვებთ, მაშინვე თითქმის ყველა „სანეიტრალო“ სახელმწიფომ მხარი დაუჭირა ოსმალეთს და ჩვენ ომი გამოგვიცხადა; მაშინვე ინგლისი, სხვა სახელმწიფოების ჯარებთან ერთად, სევასტოპოლს მოადგა...

1877-78 წლებში რუსეთს ომი ჰქონდა ისევ ოსმალეთთან. მაშინაც სახელმწიფოებმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს. ყველას ახსოვს ამ „ნეიტრალიტეტის“ ამბები: როგორც-კი გავიმარჯვეთ, მაშინვე წინ გადაგვეღობა მთელი ევროპა; თუმცა ომა არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ბერლინის კონგრესზე მიგვიწვიეს, დიპლომატიურად გაიმარჯვეს და ამრიგად ომში დამარცხებულნი ჩვენ გამოვედით.

ამას გვეუბნება წარსული, და უნებლიეთ იბადება კითხვა: ახლაც ასე ხომ არ იქნება? ახლაც ხომ არ დაგვჭირდება სხვა სახელმწიფოებთან ომი, როდესაც იაპონიაზე გავიმარჯვებთ? ახლაც ხომ შეტაკება არ მოგვიხდება „სანეიტრალო“ სახელმწიფოებთან, როგორც ეს 1854 და 1878 წლებში მოგვიხდა?

მართალია, ჩვენი ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა მაშინდელს არა ჰგავს: საფრანგეთთან ჩვენ ეხლა კავშირი გვაქვს შეკრული, გერმანიასა და ავსტრიის კეთილ განწყობილებაში ეჭვი არ უნდა გვქონდეს, იტალია, ვგონებთ, ვერ გაბედავს ომში ჩარევას; მაგრამ ინგლისი კავშირით არის შეკრული იაპონიასთან და ამიტომ თვითონაც არ არის დარწმუნებული, რომ ნეიტრალიტეტის დაცვას მოახერხებს.

ხოლო თუ ინგლისი დაარღვევს ნეიტრალიტეტს, მაშინ ვინ არის თავდები, რომ ჩვენ ყველასთან არ მოგვივა ომი?! ცხადია ამიტომ, რომ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ... მართალია, ეხლა სევასტოპოლის ამბის გამეორება არ მოხერხდება: ჩვენ ეხლა შავ ზღვაზე ძლიერი ფლოტი გვყავს, თუმცა არც იმდენი, რომ შესაძლებელი იყოს 1500 ვერსტის ნაპირების დაცვა; შემდეგ, თვით სევასტოპოლი ეხლა საშინლად გამაგრებულია ზღვიდანაც და ხმელეთიდანაც.

მაგრამ ეხლა, სევასტოპოლის გარდა, ბათუმი და ნოვოროსსიისკიც არიან შავ-ზღვაზე; ეს ქალაქები-კი მთელის კავკასიის კარებია. ბათუმი უმთავრესი სიმაგრეა კავკასიისა; ამ ქვეყანას-კი ინგლისი ძალიან გულით ეტანება და სწორედ ამ კავკასიის ერთად-ერთი დამცველი სიმაგრე ბათუმი საეჭვო ციხეს წარმოადგენს.

ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ბათუმი მარტო ციხე-კი არ არის, არამედ ნავთის სამრეწველო ნავთ-სადგურია. ბათუმის შემოერთების შემდეგ იქ სამხედრო სამინისტრომ ციხე ააგო, გზათა და ფინანსთა სამინისტროებმა-კი ნავთის ქალაქი, ნავთის აუზები, ნავთის საწყობები გააჩინეს. სამხედრო სიმაგრესთან აშენდა კომერციული ნავთ-სადგური, ნავთის ქალაქი, ნავთის სამრეწველო მოსახლეობა, სადაც რუსებს თითქმის არაფერი არ ეკუთვნის და ყველაფერი უცხოელების, უმთავრესად ინგლისელების, ხელშია.

სანაპირო ტერიტორია ამფითეატრს წარმოადგენს, რომლის ზემოთა ნაწილში ციხეა და სამხედრო შენობები (სიმაგრეები, წამლისა და სურსათის საწყობები და სხვა), ქვემო ნაწილში-კი ე. ი. ციხის ძირში—„ნავთის ქალაქია“ თავის ქარხნებითა და ნავთის საწყობებით. თითო ქარხანასა და აუზში ყოველთვის ნავთი ასი ათას და მილიონ ფუთობითაა; სულ-კი ამ „ნავთის ქალაქში“ 20 მილიონ ფუთამდე ნავთია ხოლმე. მერე იცით, ეს რასა ნიშნავს? აი რას: საკმაოა მცირე ნაპერწკალი, რომ ბათუმის ციხე მთელის თავის შენობებითა და საწყობებით ჰაერში ავარდეს და ერთის წუთის შემდეგ ამ ციხისა მარტო მოგონება-და დარჩეს. შეიძლება ასეთი ამბავი შემთხვევით მოხდეს; მაგრამ შეიძლება შემთხვევით კი არა, განგებაც მოახდინოს ვინმემ. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ბათუმი სავსეა უცხოელებით, უმთავრესად ინგლისელებით, სავაჭრო კანტორებითა და სააგენტოებით. ამასთან დიდი ნაწილი თვით „ნავთის ქალაქისაც,“ იმის ზავოდებისა და ნავთის საწყობებისა უცხოელებს ეკუთვნის, ამათ შორის ინგლისელებსაც.

ამ გარემოებასაო, განაგრძობს გაზეთი, მთავრობამ კარგა ხანია ყურადღება მიაქცია; აირჩია კომისია, რომელიც რამდენსამე წელიწადს მუშაობდა და რომელმაც გადასწყვიტა: „ნავთის ქალაქი“ უთუოდ გადატანილ უნდა იქნას ქობულეთშიო. მიუხედავად ასეთის გადაწყვეტილებისა, „ნავთის ქალაქი“ დღესაც იქვეა და ბათუმი—ეს სიმაგრე და დამცველი კავკასიისა, დამცველი ჩვენის ბატონობისა ამ ქვეყანაში,—დღესაც იმავ საშიშარ მდგომარეობაში იმყოფება.

დასასრულ გაზეთი ამბობს, დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს განზრახვა, „ნავთის ქალაქი“ უნდა მოშორდეს სიმაგრეს, თუ გვინდა, რომ ბათუმმა შეიძლოს კავკასიაში ჩვენის სამფლობელს დაცვაო.

ახალი ამბავი

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასდო 40,000 მანეთი **შიდა რუსეთიდან ამიერკავკასიაში გადმოსახლების** საქმის საწარმოებლად. ეს ფული კავკასიის უმაღლესს მთავრობას გადაეცემა.

◆ როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, **ქართულ საღამოდან**, რომელიც ამას წინად ბაქოში გაიმართა „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ, ხარჯს გარდა დარჩენილა 1.300 მანეთი.

◆ დასრულდა კერძო თათბირი **მარგანეცის მრეწველობის საჭიროებათა** შესახებ, რომელიც, მრეწველთა წარმომადგენლებთან ერთად, გამართული იყო კავკასიის სამთო მმართველობასთან. როგორც გავიგეთ, თათბირზე, სხვათა შორის, შემდეგი დასკვნეს: 1) აღიარებულ იქმნას მარგანეცის მრეწველობა ეგრედ წოდებულ „თვალსაჩინო მრეწველობად“, რაც გამოიწვევს ამ მრეწველობაზე სამრეწველო წესდებულების გავრცელებას. ეს წესდებულება, სხვათა შორის, თხოულობს, რომ მუშაობის დაწყებამდე მრეწველმა მთელის მუშაობის ტეხნიური გეგმა წარადგინოს სადაც ჯერ არს; 2) მრეწველის სამუშაო ადგილი 10 ქცევაზე ნაკლები არ იყოს. ორივე ზემოდ აღნიშნული ღონისძიება საჭიროდ მიაჩნიათ მარგანეცის მრეწველობაში ტეხნიკის გაუმჯობესობისათვის; 3) სამრეწველო რაიონში შტეიგერთა რიცხვის მომატება; 4) ტეხნიურ კომისიის დაარსება და სხვა.

◆ 15 მარტს, ინჟ. ბ-ნ ჩენგერის თავმჯდომარეობით, ქუთაისში დაიწყება სხდომები შორაპნის **მარგანეცის მრეწველთა მეექვსე (საგანგებო) კრებისა.** განსახილველი საგნები შემდეგია: 1) რა წესითა და რიგით შემოღებულ უნდა იქნას შორაპნის მარგანეცის მრეწველობაში 1903 წლის 2 ივნისის კანონი მუშათა დაზარალების გამო მრეწველთა პასუხის გების შესახებ; 2) საჭირო ფულის გადადება იმ კანცელარიის შესანახად, რომელიც ექნება უმაღლეს სამთო მმართველობასთან დასაარსებლად განზრახულს სამთო სამრეწველო საქმეთა საბჭოს; 3) ჭიათურის რკინის გზაზე მარგანეცის გადასაზიდავ ტარიფის დაკლება; 4) რკინის გზით გატანილ მარგანეცზე ფუთზე არსებულ გადასახადის მომატება; 5) ფოთში მექანიკურ მოწყობილების გამართვა მარგანეცის გემებზე გადასატანად; 6) ჭიათურაში ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებლის დაარსება სპეციალურ სამთო განყოფილებით.

◆ ამას წინად მიწათ-მოქმედების სამინისტრომ დაავალა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, ყოფილ ვიცე-პრეზიდენტის ი. ს. ხატისოვის სახელობაზე **სტიპენდიის დასაარსებლად** შეკრებილი თანხა საზოგადოებამ შეიტანოს სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში და სარგებელი დახარჯოს ხოლმე სტიპენდიაზე ტფილისის საბაღოსნო სკოლაში. საზოგადოების საბჭოს ამ თანხისა 4000 მან. შეუტანია საგუბერნიო ხაზინაში, მაგრამ, როცა სარგებლის გამოტანა მოუსურვებია სტიპენდიისთვის, ხაზინას არ დაუნებებია და უთქვამს, მოწერილება არა გვაქვს მიწათ-მოქმედების დეპარტამენტისაგანაო. ეს ამბავი სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გუშინ აცნობა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს და სთხოვა, განკარგულება მოახდინოს, რომ საბჭოს თანხის სარგებელი ეძლეოდეს. სარგებელი საზოგადოებას ეს მესამე წელიწადია არ მიუღია.

◆ განჯის გუბერნიის ჯევანშირის მაზრაში **კალიის დიდ-ძალი კვერცხი ამოუჩენიათ**. ამ მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელმა შუამავალმა ეს ამბავი შეატყობინა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა, გაუგზავნოს ს. ვ. ლარის მიერ გამოგონილი კალიასთან საბრძოლველი მანქანა, თუ იგი გამოსადეგია.

◆ აგრონომმა ტიმოფეევმა შეადგინა დარიგება **ჩაის ბუჩქის გაშენების** შესახებ ქუთაისის გუბერნიის დასავლეთ ნაწილში. ეს გამოსადეგი წიგნი ქართულად გადმოუთარგმნია აგრონომს თავ. ნაკაშიძეს. წიგნი უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად. წიგნაკი ღირს 10 კაპ.

◆ გუშინ, 25 თებერვალს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების რწმუნებულმა ვერმიშევმა პეტერბურგიდან დეპეშით შეატყობინა საზოგადოების საბჭოს, რომ განსაკუთრებულმა კომიტეტმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა **მეღვინე-მევენახეობის გამაუმჯობესებელ** საშუალებათა შემუშავება, უკვე დაამთავრა მუშაობა

ყველა ზემო თქმული ცხადად გამოთქვა ერთმა აქაურმა ჩემმა ნაცნობმა ფრანგმა, რომელსაც საკმაო დიდი მამული აქვს ნიცას მახლობლად. მან თავაზიანად დამატარა ქალაქი, გამომიყვანა ზღვის კიდეზე, სადაც დაგებულია სამი ვერსტის სიგრძეზე მშვენიერი, ფართო (4 საჟენი სიგანე აქვს) ტროტუარი, ქვაფენილი, რომელსაც გასწრივ უზარ-მაზარ პალმების ხეივანი მისდევს. მთელი ქალაქის წარჩინებულნი აქ არიან ხოლმე სასეირნოდ თავმოყრილნი დილის 10 საათიდან შუა დღემდის და ნაშუადღევის 2 საათიდან—4-მდის. 3 ვერსის სიგრძე ქვა-ფენილი აჭრელებულია მშვენიერად მორთულ მოსეირნე ხალხით. „ყოველ დღე შეგიძლიათ ნახოთ აქ ეს ლამაზი სურათი“, თავ-მომწონედ მითხრა ჩემმა ნაცნობმა. ცხოვრებას მოწყვეტილი, განყენებულ მშვენიერების ტრფიალი რომ ვიყო, რასაკვირველია, მეც მომეწონებოდა ეს სურათი; მაგრამ ძნელია დაივიწყოს გრძნობიერმა კაცმა, თუ რა მანქანა ამოძრავებს ცხოვრებას, ამ ლამაზ ზედაპირს, ვინ არიან დამალულნი ამ ავანსცენის კულისებში, ვისი მედგარი შრომა და მწარე ოფლი აბრუნებს მუდამ-დღე ძალა-უნებურად ამ ლამაზ კალეიდოსკოპს.

გავიარეთ კარგა დიდი მანძილი ქვა-ფენილისა, რომელსაც „ინგლისელთა სასეირნო“ ეწოდება, ალბად, ინგლისელთათვის თავმოსაწონად, საკომპლიმენტოდ, რადგან ყველაზე უფრო ინგლისელები ეტანებიან ნიცას და ყველაზე მეტ ფულსა სტოვებენ აქ. საზოგადოდ აქ თავ-მოყრილ, მოსეირნე ხალხს სახეზე რაღაც უხალისობა-დაღვრემილობის გამომეტყველობა ჰქონდა აღბეჭდილი. სეზონი კარგა ხანია დაიწყო: ეტყობოდათ, რომ უკვე მოსწყენიათ აქაურობა, მოჰყირჭებიათ ეს ბუნების სიტურფე, მზიბლავი ზღვის ფერადები, ზურმუხტ ტალღების ცელქი თამაში. როგორღაც ალმაცერად, უგულოდ უცქეროდნენ ზღვას, როგორც უცქერის ცხოვრებაში ნაწრთობი პრაწიკანა, სიამოვნების ტრფიალი ჟუირი თავის საყვარელს, რომელმაც შეალია მას თავისი სიტურფე-სიკეკლუცე, უკვე მოაბეზრა თავი და არ იცის ახლა პრაწიკანამ, როგორ მოიშოროს იგი თავიდან. საწყალი ხალხი, ფულით მდიდარი და სულით ღატაკი! სიმდიდრის შეძენა უფრო ადვილია, ვიდრე მისგან განთავისუფლებაო—სთქვა ერთმა ამერიკელმა ფილოსოფოსმა. ღრმა ჭეშმარიტებაა. მდიდრებს გულუბრყვილოთ სჯერათ, რომ ისინი ჰფლობენ სიმდიდრეს და ვერ ჰხედვენ, რომ სიმდიდრე ჰფლობს იმათ, რომ ოქროს კლანჭებში არიან ჩავარდნილნი, რომელიც, რუსთაველის თქმისა არ იყოს:

თვისთა მოყვასთა აროდეს მასცემს დხსნასა,
კვლავ აქ სულსა და აბამს, დაუშლის აღმაფრენასა.

აი, ამ შუა-ხნის რგვალ ჩასუქებულ ბურჟუას, რომელიც წინ შემოგვეყარა და ისე უხალისოდ შემოგვხედა, თითქო მისი დიდი ხნის ნაცნობნი და საძაგლად მობეზრებულნი ორ-ფეხა სულდგმულნი ვიყავით, ამ ბურჟუასაც ჰგონია, რასაკვირველია, რომ იგი თავისუფალი, თავისი პიროვნების სრული გამგეა. მახლას რომ არა! იგი ფეხს ვერ გადაადგამს მის ჯიბეში ცმაკუნ თვალთმაქცურად მიკატუნებულ, მის პატარა მრგვალ და სქელ ქისის დაუკითხავად. ყოველი მისი ფეხის გადადგმა ამ ქისის ნებაზე, მის შინაარსზეა დამოკიდებული: აქ ინახება მუქთ-შემოსავლიანი ბურჟუა-რანტიეს ცხოვრების წყარო. რაც უფრო მსხვილია ჯიბე, მით უფრო დიდ და ძვირფას სიამოვნების უძირო ჯურღმულში ჰგზავნის იგი თავის პატრონს, მით უფრო მეტ და ძვირფას დროს გასატარებელს აძებნინებს სხვა-და-სხვა ალაგას, მით უფრო დაჟინებით სცდილობს, არ გარიოს ქს კაცი სხვა, მის არა ტოლ-თანასწორ კაცთა შორის. აბა თუ შეხვდებით მსუქან ბურჟუას გამხდარ მუშაკთა შორის, რომელთა ცხოვრების სფერა, მისი ვითარების გაცნობა-გამოცდა შეახალისებდა, შინაარსს, შნოს შესძენდა შეუძლებელთ უშნო და უშინაარსო ცხოვრებას? არა და არასოდეს. დიდ ქისას თავისი პატრონი მხოლოდ დიდ-ქისიანებთან მიჰყავს, თავის სწორთა თანა ატარებინებს დროს. არ აძლევს ნებას თავის მორჩილ სულდგმულს გააფართოვოს ცხოვრების ასპარეზი, გაიცნოს სხვა მისწრაფების, სხვა რჯულის ხალხი; როგორც ყველა გზები რომში იყრიან თავს, ისე ყველა სქელი ჯიბეები იმ ადგილას იკრიბებიან, რომელსაც სიამოვნების ჯურღმული ჰქვია, რომლის ზედაპირი ლამაზია, ფსკერი-კი მწარე, მოწყენილობის და სნეულების წუმპეა.

ვშიშობ, არ მოვაბეზრო თავი მკითხველს ჩემი ნაღვლიანი-პესიმისტური კილოთი, ამიტომ განვაგრძობ ნაცნობ შეძლებულ ნიცელთან სეირნობას ზღვის კიდის მშვენიერსა და ტურფად ჩაცმულ თავ-დახურულ ხალხით აჭრელებულ ქვაფენილზე. ვატყობდი ჩემ ნაცნობს, რომ იგი თავის კომპანიაში გრძნობდა თავს, რომ მისი დევიზი იყო მშვენიერება მშვენიერებისა და მშვენიერთათვის. კარგა ხანს ვიარეთ ქვაფენილის შუა ალაგას. მარჯვნივ ზღვაში ვეება პლატფორმაა აშენებული და ზედ კოხტა, მსუბუქ ჩუქურთმით გამშვენებული კლუბის შენობა დგას. ამ კლუბის იატაკის ქვეშ ნიადაგ ცელქობენ და თამაშობენ ზღვის ცქრიალა უსაქმო ტალღები, ამ ზვირთების ზემოთ-კი, კლუბის იატაკზე—მხიარულების მძებნელი, ცქრიალა, ნიცელი სტუმრები. ეს კლუბი წარმოდგენა-კონცერტებისათვისაა დანიშნული, რომელთაც ყოველ-დღე მართავენ იქა, ამიტომ ამ ადგილას ყველაზე უფრო მეტი მოსეირნეა ხოლმე. შენობა მეტად ლამაზია. ფერად-ფერადი ფრთებით მოსილ ვეება და თან მსუბუქ ფრინველსა ჰგავს, რომელიც ნაპირს მოშორებია, ლამაზი ფრთები გაუშლია და ზღვის ტალღებზეა დაკრუხებული. აი, ამ კლუბის ფრთებ ქვეშ თავს იყრის ყოველ საღამოს ნიცელი წარჩინებული საზოგადოება და შეექცევა ახალთახალ გამოჩეკილ და ცხელ-ცხელ სიამოვნების კვერცხებს. ოპერა, დრამა, კომედია, ცეკვა და სიმღერა ერთმანეთს სცვლიან, ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ მოუკლან ნიცელ წარჩინებულთ დროის გატარების სურვილი... და ყოველივე ამაოდ! ვისაც სიამე სიცოცხლის საგნად დაუსახავს, იმისათვის ყოველი თავის შექცევა იგივე არის, რაც ცეცხლისათვის ნავთი—თავდავიწყების წყურვილს არ უხშობს, არამედ უფრო განაძლიერებს. „მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას თავისი საზღვარი აქვს, სიამოვნება კი უსაზღვროაო“,—სთქვა მსოფლიო ფილოსოფოსმა.

გავცილდით ნიცელთა უდიდეს სიამოვნებათა მჩეკავ ლამაზ კრუხს. რაც უფრო ვშორდებოდით, მით უფრო თხელდება ხალხი. საოცარია სწორედ. დღე ხომ არაფერი თავის შექცევა არ იმართება ნიცელთა კლუბში, და მაინც ყველაზე მეტი საზოგადოება მის წინ ტრიალებს, ბუზის გუნდივით ირევა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბუზები უფრო ჰკვიანურად ირჯებიან ამ შემთხვევაში: სადაც თაფლი არ ეგულებათ, ან უკვე გამოუწუწნიათ, იქ აღარ ჩერდებიან, სხვაგან მიფრინვენ სიტკბოების საძებრად. განცხრომის ძენი კი, ბუზებზე ბევრად უფრო გონიერი ადამიანები, ყველაზე მეტად იმ ადგილს ეტანებიან, სადაც წუხელის თაფლი იყო, დღეს კი არაფერია. საბრალო ადამიანთა ამ ადგილას მიმზიდველი წუხელის გამონაწუწნი სიტკბოების მოგონება და ახალი სიტკბოების მოლოდინია, სხვა არაფერი.

ი. ნაკაშიძე

(გაგრძელება იქნება)

24 თებერვალსაო. კომიტეტს განუხილავს მცირე კომისიის მიერ შემუშავებული ღვინის კანონის პროექტი და დაუმტკიცებია შეუცვლელად. კომიტეტს მიუღია აგრეთვე ამავე კომისიის დადგენილებანი ღვინის ხარისხებად დაყოფის შესახებ. ის ღვინოები, რომელსაც დამზადების დროს შაქარი შეერევა, ჩაურიცხავს მეორე ხარისხოვან ღვინოდ. სხვა მოხსენებებს გარდა კომიტეტს განუხილავს საკითხი კრებების შემოღების შესახებ იქ, სადაც უმთავრესად მეღვინე-მევენახეობას მისდევენ. პროექტით ამ კრებებს მიენიჭებათ ზოგიერთი უფლებანი თვით-მმართველობისა. ასეთი კრება დაადებს გარდასახადებს მეღვინე-მევენახეებს იმ თანხის შესადგენად, რომელიც უნდა მოხმარდეს მეღვინეობის წარმატების საქმეს და სხვ. კომიტეტს საჭიროდ უცვნია ამგვარ კრებების გამართვა იმ გუბერნიებში, სადაც საერობო დაწესებულებანი არსებობს. ყველა ამის შესახებ კომიტეტმა მოხსენება უკვე წარუდგინა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს.

◆ კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** წევრთა კრება, რომელიც დანიშნული იყო დღეს, 26 თებერვლისათვის, გადაიდო 4 მარტისათვის.

◆ **ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭოს** საქმის წარმოება გადატანილ იქნა ექსარხოსის კანცელარიაში. ამ საბჭოს საქმის წარმოება მიენდო ხსენებულ კანცელარიის გამგეს ტრელინს.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს **გენერალ-ადიუტანტს ა. ა. ფრეზეს** პეტერბურგიდან მოელიან ამ მოკლე ხანში.

◆ პოლიციის მე-2 ნაწილის ბოქაულმა შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ მეტად უყურადღებოდ არის მიტოვებული მამა-დავითის მოედანი და იმის ახლო-მახლო მდებარე ქუჩები, სადაც მთელის კვირაობით უსუფთაობა არ იწმინდებათ. ბოქაული სთხოვს გამგეობას, მოედანი გააწმენდინოს.

◆ ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ ქველმოქმედთა ყურადღება ელ. ივ. ბადაშვილის მეტად გაჭირვებულ მდგომარეობას. ეს, ოთხის მცირეწლოვანის შვილის პატრონი, ქალი რამდენიმე წელიწადია დაქვრივდა და, რადგან არაფერი გააჩნდა, ოჯახს თავის შრომით კვებავდა. ბოლოს დროს დასნეულდა, ჯანი დააკლდა და წინანდებურად მუშაობა აღარ შეუძლია; ცხოვრობს და შვილებს ასაზრდოებს მხოლოდ იმ შემწეობით (თვეში სამი მან.), რომელიც, როგორც დარიბს, მთავარმართებლის კანცელარიიდან ეძლევა. ვისაც ჰსურს დაეხმაროს ამ უბედურ ოჯახს, შეუძლიან ან პირდაპირ მიაწოდოს შემოწირულება (ავჭალის ქუჩა, № 56) ან ჩვენს რედაქციაში გამოგზავნოს გადასაცემად.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 23 თებერვალს დაადგინა, დაავალოს იურისკონსულტს, საჩივარი აღძრას მუხრანის ბორანის ყოფილ იჯარადარ ბუდაგოვზე, რომელზედაც დარჩენილია 11,000 მანეთზე მეტი და რომელიც ამ ფულს ნებით არ იძლევა.

◆ პოლიციის მე-2 ნაწილის ბოქაულმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ლაბორატორნი ქუჩაზე არამიანცის სახლის ქვეშ კედელი გასქდა და იქიდან სიბინძურე გამოდისო. ბოქაული სთხოვს გამგეობას, დაავალოს სახლის პატრონს კედელი შეაკეთოს.

ამ №-თან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიან დამატების** მე-196 ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია: „გააუქმეს“ მოთხრ. ჩეხოვისა, თარგმანი ალ. საათაშვილისა; სურათები: ადმ. სკრიდლოვი; რუსეთის არტილერია; არტილერიის მოგზაურობა მანჯურიაში; კურინო, იაპონიის ელჩი რუსეთში; ჩემულპოს ნავთ-სადგური; ფორტი „ტიგროვოის“ ნახევარ კუნძულზე; რუსეთის ნალმიანი გემი; იაპონიის ნალმიანი გემი; ორენბურგელი ყაზახები შორეულ-აღმოსავლეთში; იაპონიის ჯარის კაცები და აფიცრები; რუსეთის ჯარი მანჯურიაში; მანიფესტაცია ტოკიოში და სხვა.

რუსეთის ქრონიკა

◆ 16 თებერვალს სარატოვის საპატიმროში პატიმრებმა უწესოება მოახდინეს: ზედამხედველს რევოლვერი წაართვეს, სროლა დაუწყეს, ამასთან საპატიმროს დაწვა უნდოდათ. პოლიცია მივიდა და პატიმრები დაამშვიდა, ამასთან ერთი პატიმარი დაიჭრა; ზედამხედველს უცაბედად თოფი გაუვარდა, იქვე მდგომ ყაზახს მოხვდა და მოჰკლა („ნოვ. დნია“).

◆ შორეულ-აღმოსავლეთში ცხოვრება ძალიან გაძვირებულა; შაქარი, მაგალითად, 18 კაპ. მაგივრად, ეხლა 30 კაპ. ღირს. სხვა სურსათის ფასსაც ერთი-ორად და სამად აუწევია.

◆ უმაღლესის ბრძანებით 1902 წ. 20 დეკემბერს გაძლიერებული დაცვის წესი იყო შემოღებული ვილნოსა და სარატოვის გუბერნიებში, პოლტავისა, კონსტანტინოგრადისა, პერეიასლავისა, ლუბენისა და კრემენჩუგის მაზრებში და ქალაქებ მოგილიოვსა, გომელსა, მინსკსა, ბელოსტოკსა, ნიჟნი-ნოვგოროდსა, იურიევსა, ტომსკსა, სარატოვსა და პოლტავაში. უმაღლესის ბრძანებით ყველა ამ ადგილებში კიდევ ერთის წლით, ე. ი. 20 დეკ. 1904 წლამდე დარჩება გაძლიერებული დაცვის წესი („რუს. ვედ.“).

თეატრი

ბაქო. გვეწვია ქ-ნი ნ. ჩხეიძე და 22 თებერვალს გამართა წარმოდგენა აქაურ საარტისტო კლუბის დარბაზში. წარმოადგინეს დრამა „უბედური ნაბიჯი“ კარეევისა და ვოდევილი „ჭკუისა მჭირს“ ა. ცაგარლისა. მონაწილეობას იღებდნენ, ნ. ჩხეიძის გარდა, ქ-ნნი ე. მესხი, ქ. ანდრონიკაშვილი და ბ-ნი ქორიძე. სხვები კი სცენის-მოყვარენი იყვნენ. უმთავრეს როლს, ვარვარა მიხაილოვნასას, ასრულებდა ქ-ნი ჩხეიძე და მართლაც კარგი იყო იგი ამ ძლიერ დრამატიულ როლში. იმისმა თამაშმა თავიდანვე მიიპყრო დამსწრეთა სრული ყურადღება. ინტერესი სულ თანდა-თან იზრდებოდა და ძლიერდებოდა. ბოლოს მესამე მოქმედებაში არტისტის კარგად წარმოდგენამ მოხიბლა მაყურებლები. ბევრი აცრემლდა კიდეც. ხალხის აღტაცებასა და ვაშას ძახილს დასასრული არა ჰქონდა. რიგიანად შესრულდა გაიძვერა ბარონესა შტრუხის როლი ქ-ნმა ანდრონიკაშვილმა. ეკატერინე პეჩორინის როლს ასრულებდა ქ-ნი ე. მესხი. მართალია, ეს პატარა და უფერული როლი მის ნიჭს არ შეეფერებოდა, მაგრამ მაინც მშვენივრად დაგვიხატა. ბ-ნ ქორიძეც ღირსეულად მხარს უჭერდა ზემო მოხსენებულ არტისტს ქალებს; კარგად შეასრულა როტმისტრ ბალავინის როლი. სცენის-მოყვარენიც გვარიანად თამაშობდნენ, გარდა სულიაშვილისა, რომელიც უხერხულის თამაშობით ხელს უშლიდა სხვებს. ვოდევილში ბ-ნ ქორიძის გარდა ყველა მომქმედნი პირნი სცენის-მოყვარენი იყვნენ, მაგრამ ვოდევილმა მაინც მხიარულად ჩაიარა და [illegible] აცინა მაყურებლები. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, დარბაზი თითქმის გაჭედილი იყო მაყურებლებით, რომელნიც ერთიანად ქართველები იყვნენ. არ გვეგონა, თუ ამოდენი ქართველობა იმყოფებოდა ბაქოსა და იმის მიდამოებში.

წყალტუბელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 თებერვალი

პეტერბურგი. კანონთა კრებულში დაბეჭდილია ოლდენბურგის დიდ საჰერცოგოს ტახტის დაჭერის წესი და დეკლარაცია ფრიდრიხ ფერდინანდ შლეზვიგ ჰოლშტეინ გლიუკსბურგის ჰერცოგისა.

ვაშინგტონი („რეიტ. საგ.“). სენატმა დაამტკიცა საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც 97 მილიონ დოლარს უდრის.

ქრისტიანია. ნანსენმა სანფიორდის ქალაქის მოურავს მიჰმართა, ტიულენების მჭერელთ გადაეცით, ყურადღება მიაქციონ და ბარონ ტოლის ექსპედიციის კვალი იპოვნონო. ნანსენის აზრით, ექსპედიცია მცურავ ყინულებზე უნდა იყოს და ეხლა ან ფრანც იოსების ახალ მიწას, ან შპიცბერგენის, ანაც გრენლანდიის ნაპირებთან იქნებაო.

25 თებერვალი

პეტერბურგი. დაინიშნენ: მინისტრთა კომიტეტის კანცელარიის განყოფილების უფროსი, სონცოვსკი ასტრახანის ვიცე-გუბერნატორად, პერმის ვიცე-გუბერნატორი ცხანოვსკი—სმოლენსკის ვიცე-გუბერნატორად.

ბელოსტოკი. პოლიცმეისტერს პელენკინსა და იმის თანაშემწეს პოლხოვსკის რამდენჯერმე რევოლვერი ესროლეს. საქმე ესე იყო: ერთი მუშის გასვენების დროს პოლიციამ შეამჩნია, რომ კუბოს უკან მიმყოლ ხალხში წეს-რიგი დაარღვიეს და დამნაშავეთა დასაჭერად ზომები მიიღო; პოლიციას ქვები დაუშინეს; გაისმა რევოლვერების სროლა; პოლიცმეისტერი და იმისი თანაშემწე მოვიდნენ და პოლიციის მოქმედებას ხელმძღვანელობა გაუწიეს; გამოედევნენ ერთს, რომელმაც წინად რევოლვერი ისროლა და პოლიცმეისტერსაც სწორედ ამ დროს რამდენჯერმე ესროლეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება
ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“
გულივერის მოგზაურობა
სვიფტისა.
მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კ.
(3—უ.—1)

მოიკითხეთ
ძმ. გ. და მ. ფრიდონოვების
ხილეულობის უდიდესი
სანერგე.
სადგური სკრა. იყიდება საუკეთესო ჯიშის ნერგები. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ტფილისში მ. გ. ფრიდონოვს, სერგიევის ქუჩა № 11 და ქუთაისში პირველი სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდასთან“. კატალოგები იგზავნება უფასოდ. (10—71—3)

იოსებ იმედაშვილისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო
„ცხოვრების სარკე“
მე-III წიგნის ბეჭდვა დროებით შეჩერდა (ნახევარი დაბეჭდილია), მალე დამთავრდება და ყველას საჩქაროდ დაურიგდება. იოსებ იმედაშვილის წიგნთ სავაჭროდან ჯერ-ჯერობით შემდეგი ადრესით შეიძლება წიგნების დაბარება (ფას დადებით): г. Тифлисъ. книжная торговля Аннѣ Николаевнѣ Имедашвили. წიგნთ სავაჭროში მოიპოვება კიდევ შემდეგი საკუთარი გამოცემანი: **ცხოვრების სარკე** II წიგ. ფასი 1 მ. (I-ლი წიგნი აღარ არის); **მ. გორკის 12 მოთხრობა** კრიტი.-ტ-გრაფიული წერილით და სურათით—60 კაპ.; **ველურობა და განათლება** (ლეტურნოს „სოციოლოგიი“-დან) ს. ჯუღელისა—30 კ.; **დიაკვნიანი**, პოემა ბაჩანასი სურათით—20 კ.; **კაცი ვარ და ქუდი მხურავს**, კომ. 3 მოქმ. ვაჩნაძისა—20 კ. **სამოცი წლის არშიყი**, ვოდ. ჩერქეზიშვილისა 10 კ. და სხვ. წიგნები.
(2—2) **ანნა იმედაშვილისა**

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან იყიდება 2 და 3 წლის საზაფხულო ხე-ხილის ხეები საუკეთესო ჯიშისა: ვაშლები, მსხლები და სხვა
ჰაჯი-ისმაილ-ოღლის
მამულის ბაღებიდან. (3—74—2)

ტფილისის ქალაქის
საკრედიტო საზოგადოების
გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1 მარტს ამა 1904 წელს, დილის 11 საათზე, გამგეობის სადგომში, პუშკინის ქუჩაზე, საკუთარს სახლში, გაიყიდება შემდეგი მამულები ამ საზოგადოებიდან წაღებულ სესხის გადასახადის შეუტანლობისა გამო, როგორც ამას საზოგადოების წესდების მე 11, 12 და 13 პარაგრაფები თხოულობს:

1. **ტერ-პოღოსოვისა** ოვაკიმ დანიელის ძისა: მიწა, ზომით 100 ოთხ-კუთ. საჟენი, სამ-სართულიანი სახლი, სარდაფითა და შენობებით; 1 ნაწილში, უდელნი ქუჩაზე. 1904 წლის 1 იანვრისათვის თავნი ვალი იყო—21,297 მან. 35 კაპ., დარჩენილი შესატანი—1047 მან. 22 კაპ.

ნახევარის წლის შესატანი გატანილ სესხისა გამოიანგარიშება 701 მან. 25 კაპ.

2. **მიხაილოვისა** ვ. მ. მიწა ზომით 120 ოთხ-კუთხი საჟენი ან რამდენიც აღმოჩნდება; ორი-სართულიანი სახლი სარდაფითა და ერთ სართულიან სარაიათი, მე-10 ნაწილში, ბათუმის ქუჩაზე. 1903 წლის 31 დეკემბრისათვის ითვლებოდა: თავნი ვალი 7838 მან. და დარჩენილი შესატანი 320 მ. 70 კაპ. საჯარო ვაჭრობა დაიწყება 8158 მან. 70 კაპეიკიდან; ამას მოემატება დარჩენილი ფული საქალაქო, საერობო, სახელმწიფო და სახაზინო გადასახადებისა 1903 წლის 31 დეკემბრამდე.

თავნი ვალი შეიძლება გასტუმრებულ იქნას საზოგადოების ობლიგაციებით, რომლის ფასიც ნომინალური უნდა იყოს—100-ში 100; შეიძლება აგრეთვე ვალი გადატანილ იქმნას მყიდველზე, ვადიანი შესატანი და სხვა დარჩენილი გადასახადი-კი ნაღდ ფულად უნდა იქმნას შეტანილი. ყოველგვარი ქაღალდები და საბუთები, რაც გასასყიდ მამულებს შეეხება, მსურველს შეუძლიან გასინჯოს, აგრეთვე მიიღოს საჭირო ცნობები საზოგადოების გამგეობაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. (ნ. 3—2)

ყვირილის თეატრის
ამხანაგობის გამგეობა
ამით აცნობებს წევრთ, რომ ამა თვის 2 დანიშნული კრება არ შესდგა, წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო. ამიტომ კრება გადაიდო 28 თებერვლისათვის საღამოს 5 საათზედ. კრების დადგენილება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3—3)

ГЛАВНОЕ КАВКАЗСКОЕ АГЕНТСТВО
О—ва Граммофонъ въ Россій
Тифлисъ, Головинскій просп. домъ Абіянца № 7.
Телеграф. адресъ:
Тифлисъ
«ГРАММО-
КОМПАНІЯ»
(Телефонъ № 69).



Большой выборъ: самыхъ усовершенствованныхъ салонныхъ и концертныхъ Граммофоновъ.
Громадный выборъ: безшумныхъ пластинокъ знаменитыхъ извѣстныхъ певцовъ какъ-то:
Русскихъ, Грузинскихъ, Татарскихъ, Персидскихъ, Турецкихъ, Польскихъ, Французскихъ, Англійскихъ, Италіанскихъ, Нѣмецкихъ и проч.
При выборѣ пластинокъ, просимъ обращать вниманіе на наше фабричное клеймо „Пишущій Ангелъ“, безъ котораго пластинки безусловно поддѣлка.
При складѣ имѣется спеціальная мастерская, въ конторой могутъ быть въ случаѣ надобности, исправляемый граммофоны.
За правильный ходъ Граммофоновъ выдается ручательство на три года.
Упаковка товара производится за счетъ покупателя.
пересылка аппаратовъ на всѣ станціи ж. д. въ предѣлахъ европейск. Росс. (Лѣтомъ включая пристани водныхъ путей) производится складомъ за свой счетъ.
почтовая пересылка принимается складомъ на свой счетъ въ половинномъ размѣрѣ.
По воскреснымъ днямъ магазинъ закрытъ. Въ другіе дни открытъ отъ $8^1/_2$ ч. утра до 9 ч. вечера.
Требуйте иллюстрирован. каталоги. Гг. оптовымъ покупателямъ высылаются новые прейсъ-куранты по востребованію. (10—6)

Дозв. ценз. Тифлисъ 25 февраля 1904 г. [illegible] ამხ—ის წიგნების გამომც. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва